საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №20
2015 წლის 6 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ეროვნული გვარდიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 10 ოქტომბრის №1198 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ეროვნული გვარდიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 10 ოქტომბრის №1198 ბრძანებით (სსმ, 11.10.2013 წ., 120340000.22.026.026214) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-4 მუხლის:

1. პირველ პუნქტს დაემატოს „ვ^{1}“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ვ^{1}) ეროვნული გვარდიის სკოლა;“.

2. მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) სასწავლო ცენტრი – ეროვნული გვარდიის სტრუქტურული ერთეულებისა და რეზერვის პირადი შემადგენლობიდან სპეციალისტების მომზადება-გადამზადება;”.

3. მე-2 პუნქტს დაემატოს „ვ^{1}“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ვ^{1}) ეროვნული გვარდიის სკოლა – ეროვნული გვარდიის სტრუქტურული ერთეულებისა და რეზერვის უმცროს ოფიცერთა და სერჟანტ/კაპრალთა შერჩევა, მომზადება/გადამზადება და შეფასება;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თავდაცვის მინისტრი **თინათინ ხიდაშელი**